



თბილისი, 2018 წელი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს  
ინტელექტუალურ საკუთრებას  
და მისი პირადი მიზნებისათვის  
გამოყენება ისჯება კანონით

### Flyhelp მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში „ხელშეკრულება“) არეგულირებს ერთი მხრივ, შპს „Flyhelp“ (შემდგომში “შემსრულებელი”), მიერ და მეორეს მხრივ, დამკვეთს (შემდგომში “დამკვეთი”) შორის ურთიერთობას.

**1. ხელშეკრულების საგანი.** წინამდებარე ხელშეკრულებით და მხარეებს შორის გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე, დამკვეთი შემსრულებელს ანიჭებს სრულ და ექსკლუზიურ უფლებამოსილებას დამკვეთის სახელით, დამკვეთის მომსახურე ავიახაზებისგან (შემდგომში „ავიახაზები“) მოითხოვოს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაცია და კანონით დადგენილი სხვა უფლებების აღდგენა, დამკვეთის ინტერესების წარმოდგენა სასამართლოში, ადმინისტრაციულ და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებში (შემდგომში “მომსახურება”).

**2. თანხმობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე.** დამკვეთი შემსრულებლისთვის მინდობილობაზე ხელმოწერით, ადასტურებს რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, მათ შორის მომსახურების საფასურს და სრულად ეთანხმება მათ.

**3. მომსახურების პირობები.** შემსრულებელი, მომსახურების საფასურის სანაცვლოდ (რომელიც განიმართება ქვემოთ), დამკვეთის სახელით ავიახაზებისგან მოითხოვს კანონით დადგენილ კომპენსაციას. მომსახურების საფასური დამკვეთს ეკისრება მხოლოდ კომპენსაციის მიღების შემთხვევაში. დამკვეთი არ არის ვალდებული აანაზღაუროს მომსახურების საფასური თუ შემსრულებელი ავიახაზებისგან ვერ მიიღებს კომპენსაციას. წინამდებარე მუხლით არ იზღუდება შემსრულებლის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დამკვეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

**4. საქმის წარმოება.** შემსრულებელი მომსახურებას გასწევს დამკვეთის მიერ საჭირო ინფორმაციის სრულად მიღების შემდგომ. დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე, შემსრულებელი იწყებს ავიახაზებთან მოლაპარაკებას. თავდაპირველად, შემსრულებელი შეეცდება დაუა მოაგვაროს მოლაპარაკების და ავიახაზების დავის მოგვარების შიდა პროცედურების მეშვეობით. მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემდეგ შემსრულებელი, მისი



თბილისი, 2018 წელი

შეხვედლებისამებრ, უფლებამოსილია საქმის წარმოება განაგრძოს სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაგების მოგვარების სხვა ალტერნატიული მექანიზმით.

**5. საქმის წარმოება სასამართლოში. შემსრულებელი** უფლებამოსილია დაიქირაოს იურისტი ან იურიდიული კომპანია (შემდგომში „იურისტი“), რომელიც სასამართლოში წარმართავს საქმეს. დამკვეთი თანახმაა რომ შემსრულებელმა თავად შეარჩიოს **იურისტი** მისი შეხვედლებისამებრ. ამასთან, შემსრულებლის მიერ **იურისტის** შერჩევა და მასთან შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება არ საჭიროებს **დამკვეთის** წინასწარ თანხმობას ან/და შემდგომ მოწონებას. სასამართლოში საქმის წარმოართვისას **შემსრულებელი** უფლებამოსილია დათანხმდეს საქმის მორიგებით დასრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ავიახაზები **დამკვეთს** სთავაზობს მოთხოვნილი კომპენსაციის 50% ან ნაკლებს, რა შემთხვევაშიც შემსრულებელი ვალდებულია მიიღოს დამკვეთის თანხმობა. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში **კომპენსაციას** გამოაკლდება სასამართლო ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარჯების ანაზღაურება ავიახაზებს ეკისრება.

**6. ქვეკონტრაქტორები. შემსრულებელი დამკვეთს მომსახურებას** უწევს პირადად ან/და ქვეკონტრაქტორების მეშვეობით, რომელთაც შეარჩევს საკუთარი რისკითა და შეხვედლებისამებრ. ამასთან, შემსრულებლის მიერ ქვე-კონტრაქტორების შერჩევა და მათთან შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება არ საჭიროებს **დამკვეთის** წინასწარ თანხმობას ან/და შემდგომ მოწონებას.

**7. კომპენსაცია დაა მომსახურების საფასური. დამკვეთი** თანახმაა **შემსრულებელს** გადაუხადოს ავიახაზების მიერ კომპენსაციის სახით გადახდილი სრული თანხის, მათ შორის **დამკვეთის** მიერ განეული და ავიახაზების მიერ ანაზღაურებული ხარჯების (სასტუმროს, აეროპორტამდე და აეროპორტში მგზავრობის, საკვების, უკან დასაბრუნებელი ბილეთის და სხვა ხარჯები), **დამკვეთისთვის** ანაზღაურებული ზიანის, მათ შორის ბარგის და პირადი ნივთების დაზიანებით გამონეული ზიანის ანაზღაურების სახით მიღებული თანხის (შემდგომში “კომპენსაცია”) 30% (შემდგომში “**მომსახურების საფასური**”).

**8. ანგარიშსწორების წესი. დამკვეთი** აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს შემსრულებელს, რომ ავიახაზების მიერ გადახდილი **კომპენსაცია** ავიახაზებმა ჩარიცხოს **შემსრულების** საბანკო ანგარიშზე. **შემსრულებელი** ვალდებულია **კომპენსაცია**, **მომსახურების საფასურის** გამოკლებით, გონივრულ ვადაში გადარიცხოს **დამკვეთის** საბანკო ანგარიშზე; წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვას **შემსრულებელი** განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში, თანხის გადარიცხვის მომენტისათვის **შემსრულებლის** მომსახურე კომერციული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. **დამკვეთის** მიერ **კომპენსაციის** მიღებას მხარეები ადასტურებენ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით.

**9. დამკვეთის მიერ მიღებული კომპენსაცია და მომსახურების საფასურის ანაზღაურება.** თუ რაიმე მიზეზის გამო ავიახაზების მიერ **კომპენსაცია** **დამკვეთის** საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა, **დამკვეთი** ვალდებულია **კომპენსაციის** ჩარიცხვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში **მომსახურების საფასური** სრულად გადაურიცხოს **შემსრულებელს**, ეროვნულ ვალუტაში, გადარიცხვის მომენტისათვის **შემსრულებლის** მომსახურე კომერციული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით. **მომსახურების საფასურის** დაგვიანებით



თბილისი, 2018 წელი

გადახდის შემთხვევაში **დამკვეთს** ეკისრება **მომსახურების საფასურის 2%** გადახდა თითოეულ დაგვიანებულ სამუშაო დღეზე.

**10. დამკვეთის ვალდებულებები და გარანტიები.** დამკვეთი კისრულობს უპირობო ვალდებულებას და იძლევა უპირობო გარანტიას, რომ:

- ა. **შემსრულებელს** ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას საქმესთან დაკავშირებით. **დამკვეთი** ვალდებულია და აცხადებს რომ **შემსრულებელს** შეუქმნის ყველა საჭირო და აუცილებელ პირობას **მომსახურების** შეუფერხებელი განხორციელებისთვის და, რომ არ ჩაერევა **მომსახურების** განხორციელების მიმდინარეობაში არსებითად; საქმის წარმოების პროცესში არ მოახდენს პარალელურ რეჟიმში ავიახაზებთან მოლაპარაკების წარმოებას.
- ბ. **დამკვეთი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **შემსრულებელს** ავიახაზების მიერ **კომპენსაციის** ანაზღაურების შესახებ და გადაუხადოს **შემსრულებელს** **მომსახურების საფასური** ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად და დადგენილ ვადებში.
- გ. **დამკვეთი** აცხადებს რომ მას არ მიუღია და არ იღებს რაიმე მომსახურებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მესამე პირებისგან;
- დ. **დამკვეთი** აცხადებს რომ არ დაუთმია მოთხოვნა და კომპენსაციის მიღების უფლება არ გადაუცია მესამე პირებისთვის და არ დათმობს ან გადასცემს ასეთ მოთხოვნაზე უფლებას მესამე პირებზე **შემსრულების** წერილობითი თანხმობის გარეშე;
- ე. **დამკვეთი** ვალდებულია **შემსრულებელს** დროულად მიანოდოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი და საქმის მსვლელობისას დაუყოვნებლივ მიანოდოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის საქმის წარმოების დანაწესების შემდეგ გახდა ცნობილი. **დამკვეთის** შესახებ **შემსრულებელთან** არსებულ ნებისმიერ ინფორმაციაში/მონაცემში, მათ შორის, პერსონალურ ან/და საკონტაქტო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს **შემსრულებელს** ასეთი ცვლილ(ე)ბის შესახებ;
- ვ. **დამკვეთი** თანხმდება რომ მას არ აქვს უფლება და ეკრძალება გამოიყენოს **შემსრულებლის** სახელი, ლოგო ან/და სავაჭრო ნიშანი, **შემსრულებლის** წერილობითი თანხმობის გარეშე.
- ზ. **დამკვეთი** ამ მუხლის "ა", "გ" და "დ" პუნქტების დარღვევის ან არასწორი გარანტიის შემთხვევაში **შემსრულებელს** უხდის კომპენსაციის დამატებით 20%.

**11. ზიანის ანაზღაურება.** **დამკვეთი** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **შემსრულებელს** ზიანი, დანაკარგი, დანაკლისი ან ხარჯი, მათ შორის იურისტის მომსახურების და სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯები, რომელიც **შემსრულებელს** მიადგა (1) **დამკვეთის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, მათ შორის **დამკვეთის** მიერ მე- 10 მუხლში ჩამოთვლილი გარანტიების არასწორად მიცემით; ან/და (2) **დამკვეთის** ბრალეული ქმედებით.



თბილისი, 2018 წელი

**12. შემსრულებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა.** დამკვეთი თანხმდება, რომ შემსრულებელი არ იძლევა გარანტიას რომ დამკვეთი მიიღებს რაიმე კომპენსაციას ავიახაზებისგან. მხარეები თანხმდებიან, რომ მიუღებელი კომპენსაციის სანაცვლოდ შემსრულებელს არ შეიძლება დაეკისროს დამკვეთის სასარგებლოდ რაიმე სახის ზიანის, კომპენსაციისა და ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. ამასთან შემსრულებელი დამკვეთს არ აკისრებს მომსახურების საფასურის გადახდას იმ შემთხვევაში თუ დამკვეთმა კომპენსაცია ვერ მიიღო.

**13. პირადი მონაცემების დამუშავება და შენახვა.** დამკვეთი თანახმაა და უფლებას აძლევს შემსრულებელს, რომ შეინახოს, დაამუშაოს და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებითვის აუცილებელ შემთხვევებში, მათ შორის დამკვეთის კანონიერი ინტერესების სასამართლო, ადმინისტრაციულ და საარბიტრაჟო სასამართლოში დასაცავად, მესამე პირებს გადასცეს დამკვეთის პირადი მონაცემები. შემსრულებელი თანხმობას აცხადებს, რომ არ გაამჟღავნებს დამკვეთის პირად მონაცემებს თუ ეს საჭირო არ არის ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის ან/და დამკვეთის უფლებების დასაცავად.

**14. ხელშეკრულების ვადა.** ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში განსაზღვრული მომენტიდან (დამკვეთის მიერ მიწოდებისას ხელმოწერისას) და ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ვრცელდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების დაცვით.

**15. ხელშეკრულების ვადის შეწყვეტა.** შემსრულებელი უფლებამოსილია, დამკვეთისთვის გამოსასწორებელი ვადის მიცემის შემდეგ, ვადად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას. ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია, ხოლო დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული მომსახურების შედეგად განეული ხარჯი. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს დაუბრუნოს ავიახაზებისგან მითებული კომპენსაცია, მომსახურების საფასურის გამოკლებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტით აუნაზღაურებელი ხარჯები შემდეგი პირობების თანახმად:

- a. მოთხოვნილი კომპენსაციის 10 % იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ხელშეკრულებას წყვეტს შემსრულებლის მიერ საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, თუმცა ავიახაზებისთვის კომპენსაციის მოთხოვნის გაგზავნამდე;
- b. მოთხოვნილი კომპენსაციის 15 % იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ხელშეკრულებას წყვეტს შემსრულებლის მიერ ავიახაზებისთვის კომპენსაციის მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ; და
- c. მოთხოვნილი კომპენსაციის 30 % (მომსახურების სრული საფასური) იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ხელშეკრულებას წყვეტს შემსრულებლის მიერ ავიახაზებისგან კომპენსაციის ანაზღაურებაზე თანხმობის მიღების შემდეგ.



თბილისი, 2018 წელი

**16. დაგების გადაწყვეტა და მარეგულირებელი კანონმდებლობა.** ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებას, ნებისმიერ საკითხი რომელიც უკავშირდება ამ ხელშეკრულებას ან გამომდინარეობს მისგან მხარეთა შეთანხმებით გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. იმ შემთხვევაში თუ საქმე სასამართლოში არ არის გადაცემული, **შემსრულებელი** უფლებამოსილია საქმე გადასცეს არბიტრაჟს. **დამკვეთი** სრულად და უპირობოდ ეთანხმება მე-17 მუხლში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმებას.

**17. საარბიტრაჟო შეთანხმება.** მხარეები თანხმდებიან რომ საქმეს განიხილავს საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ან მისი სამართალმემკვიდრე, ერთი არბიტრის მონაწილეობით ქართულ ენაზე. დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებით, გარდა საპროცესო და კოლიზიური ნორმებისა. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია საქართველო, თბილისი.

FLYHELP